ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის

დავით უთმელიძის

ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დავით უთმელიძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრი.

1. ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

მე, დავით უთმელიძე, მიმდინარე წელს საკრებულოს მიერ ჩატარებული 27 სხდომიდან , დავესწარი 25 სხდომას, შესაბამისად, ამავე რაოდენობის ბიუროს სხდომას. სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების რაოდენობა შეადგენს 93 დადგენილებასა და 496 განკარგულებას. ვმონაწილეობდი მათი განხილვის, შესწორების და სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2017 წელს ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 16 სხდომა, რომელთაგან დავესწარი ყველას და განვიხილე 589 საკითხი. როგორც ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრმა მონაწილეობა მივიღე 2 შიდა განხილვაში ქ.თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

2017 წელს ჩატარდა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 30 სხდომა, რომელთაგან დავესწარი 27 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 206 საკითხის შესწავლაში, შესწორებასა და კომისიის თავმჯდომარესა და სხვა წევრებთან ერთად დოკუმენტების მომზადებაში საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ასევე ვიყავი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტრანსპორტის რეგულირების სამუშაო ჯგუფის წევრი, რომლის მუშაობის ფარგლებშიც აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას ტაქსის მომსახურების სფეროში ახალი რეგულაციების დაწესების განხილვაში.

2. ინფორმაცია დავით უთმელიძის ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორებში“ გაწეული საქმიანობის შესახებ

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს 3 წევრი. ფრაქციის წევრები თვეში ერთხელ მართავენ ფრაქციის სხდომას საკრებულოში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ფრაქციის წევრები წარმოდგენილნი არიან საკრებულოს სხვადასხვა კომისიებში, ფრაქციის სხდომაზე განიხილავდნენ საკრებულოს კომისიებში მიმდინარე საკითხებს და აჯერებდნენ საერთო პოზიციებს.

2017 წელს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ მიერ ჩატარებული 12 სხდომიდან დავესწარი ყველას. ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა სულ 14 საკითხი, რომელთა თაობაზეც ფრაქციის წევრები ამზადებდნენ პოზიციებს, შენიშვნებს შესაბამის კომისიებში წარსადგენად. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

1. საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქეთევან მამულაშვილის განცხადება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორებში“ გაწევრიანების შესახებ.

2. ფრაქციის წევრის ირაკლი ფავლენიშვილის განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ დატოვების შესახებ.
3. თანამდებობების გადანაწილება ფრაქციაში.
4. ფრაქციის თანამშრომლების ფუნქციის განაწილება.
5. იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თედო კობახიძის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.
6. ზვიად ნაზღაიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით გადაცემის საკითხი.
7. „ბავშვთა სამყაროში“ მომხდარი ხანძარი.
8. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიშის მოსმენისათვის მომზადება.
9. კონსტიტუციაში შემავალი ცვლილებები.
10. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
11. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.
12. გახშირებული ხანძარი.
13. სამაჟორიტარო უბნების მდგომარეობა.
14. წინასაარჩევნო გარემო, საკრებულოში მიმდინარე მოვლენები.

ასევე ფრაქციები „ქართული ოცნება - კოსერვატორები“ და ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ ერთობლივ სხდომაზე უმრავლესობის ფორმატით , ვიწვევდით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებს, საქალაქო სამსახურის უფროსებს, ვისმენდით მათ ანგარიშებს და ვახორციელებდით მათი საქმიანობის მონიტორინგს.

3. ინფორმაცია ამომრჩევლებთან ურთიერთობის, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ

მე, დავით უთმელიძე 2017 წელს შევხვდი 41 მოქალაქეს საკრებულოში, ხოლო 2200-მდე მოქალაქეს საკრებულოს გარეთ. გავეცანი მათ პრობლემებს და ვიმსჯელეთ მათი გადაჭრის გზებზე. მონაწილეობას ვიღებდი „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულებთან გამართულ ყველა შეხვედრაში.

4. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

ვიყავი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების(ყოფნის) ფაქტისდამდგენი კომისიის“ წევრი, სადაც აქტრიურად ვიყავი ჩართული.

ასევე ვიყავი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის

შექმნის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის წევრი და, შესაბამისად, მონაწილეობას ვიღებდი გაბილეთიანების სისტემის მოდერნიზაციის აუქციონის ჩატარებაში.

2017 წლის 27თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე ბათუმში USAID-ის და ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომლის მიზანი იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის გამოყენების საკითხის მსმენელთათვის გაცნობისა და ბიუჯეტის ფორმირებისას ონლაინ საშუალებების ევროპული გამოცდილების გაზიარება. სემინარის ფარგლებში ვისაუბრეთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა, ბიუჯეტის დაგეგმვის, სხვადასხვა ეტაპების, მოსალოდნელი სირთულეებისა და დანერგვის თავისებურებები. აღნიშნული პროექტი ასევე ითვალისწინებდა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე USAID/GGI-ის მსგავსი სააგენტოების მხარდაჭერასა და, ამასთან, ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ხელისუფლების პრინციპების დაცვას , ხოლო ჩვენი მხრიდან დასმული იყო კითხვები მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირების შესახებ, გაიმართა დებატები და მოგვაწოდეს მასალები სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან. შევთანხმდით შემდეგ თანამშრომლობაზე.

ამავე წლის 13-17 მარტს სამუშაო ვიზიტით საკრებულოს დელეგაციასთან ერთად ვიმყოფებოდი საფრანგეთში, სადაც შევხვდი ლევილის მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრებს, მერის მოადგილეებსა და ლევილის მერის მრჩეველს დანიელ ესპრენს (ლევილის ყოფილი მერი). ლევილში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ელჩთან - ეკატერინე სირაძე-დელაუნთან და საელჩოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად

მოვინახულე ქართველთა სასაფლაო, ლევილის ქართული მამული და ლევილის მუნიციპალიტეტი. ლევილის მუნიციპალიტეტმა გამოთქვა მზადყოფნა მუნიციპალური მმართველობის მიმართულებით საკუთარი გამოცდილების ქართული მხარისათვის გაზიარებისა და მათ მიერ განხორციელებული ყველა სოციალური თუ კულტურული პროგრამის თაობაზე ინფორმაციის მოწოდების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში ძალიან საინტერესო შეხვედრა შედგა ასევე პარიზის მე-18 რაიონის მერთან - ერიკ ლეჟუენდრისთან, მის მოადგილესთან და მერის სამსახურის უფროსთან - ვენსან დე ვატერთან. დავათვალიერეთ მერიის შენობა , აგვიხსნეს მერიის საქმიანობის პრინციპები და პრაქტიკაში გვაჩვენეს, თუ როგორ ხორციელდება მოსახლეობასთან ურთიერთობა ყოველდღიურ რეჟიმში. მერთან საუბრისას ვიმსჯელეთ საარჩევნო სისტემებზე პარიზსა და თბილისში, აგრეთვე, გაიმართა დისკუსია ჩვენს მუნიციპალიტეტებში განხორციელებულ, მიმდინარე და განსახორციელებელ პროგრამებსა და პროექტებზე. ძალიან პროდუქტიული და დასამახსოვრებელი იყო ის პროექტები, რომლებსაც პარიზის მე-18 რაიონის მერია ახორციელებს სოციალური კუთხით, განსაკუთრებით, თავშესაფრის მაძიებელ ემიგრანტთა მიღების და პატრონაჟის კუთხით.

29-30 აპრილს გუდაურში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან და თავმჯდომარის პირველ მოადგილე გიორგი ტყემალაძესთან ერთად ვესწრებოდი ქ.თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრას.

ასევე 3-7 ივლისს კაჭრეთში გავიარე ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი, რომლის მიზანი იყო საქართველოს უსაფრთხოების სისტემის მიმოხილვა რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტში, ასევე ქვეყნის თითოეული მოქალაქის როლისა და პასუხისმგებლობის ანალიზი

ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ფორმირების პროცესში. კურსი ჩატარდა ესტონეთის თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) მხარდაჭერითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის (DIB) სკოლის ორგანიზებით.

ასევე ჩემი ინიციატივის საფუძველზე ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭა აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან ფირცხელიანის სახელი.